

**ტურისტული ვიზის მისაღებად საჭირო საბუთების სია, როდესაც მომწვევი მხარე კერძო პირია:**

**პასპორტი**, რომელიც ძალაშია და ვადა გასდის სამი თვის შემდეგ ვიზის გაცემის დღიდან. თუ პასპორტი ახალია, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ძველი პასპორტის ყველა გვერდის ფოტო ასლი.

**ანკეტა**, რომელსაც თავად აპლიკანტი ავსებს და ხელმოწერით ადასტურებს მასში ჩაწერილი მონაცემების სიზუსტეს (ლათინური ასოებით ივსება პასპორტის მფლობელის მონაცემები და მისამართი). ანკეტა აპლიკანტს თავად შემოაქვს საკონსულო განყოფილებაში.

**ორი ბოლო დროს გადაღებული ფერადი ფოტოსურათი**, 3x4 ზომის.

**საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის** ასლი (საბუთების ჩაბარებისას თან იქონიეთ მოწმობის ორიგინალიც).

**საბერძნეთის მოქალაქის მოწვევა** – ორიგინალი.

საბერძნეთის მხარის **მომწვევი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა**, კანონის შესაბამისად დამოწმებული.

საბერძნეთის მხარის მომწვევი პირის **ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან** მისი შემოსავლების შესახებ წესისამებრ დამოწმებული (თანხა უნდა აღემატებოდეს 6.000 ევროს).

იმ შემთხვევაში, თუ მომწვევი მხარე არ არის კერძო პირი, მაშინ საჭიროა წარადგინოთ საბუთი **საბერძნეთში ადგილსამყოფელის შესახებ** (ჯავშანი ან წინასწარ გადახდილი თანხა სასტუმროში).

**სამოგზაურო დაზღვევა**, რომელიც იმოქმედებს გაცემული ვიზის მთელი ხანგრძლივობისას. ასევე ეს დაზღვევა უნდა ფარავდეს შესაძლო სამედიცინო ხარჯებს რეპატრიაციის დროს, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და პოსპიტალიზაციას. დაზღვევის ცნობას წარმოადგენთ ვიზის მიღებისას.

აპლიკანტს მოეთხოვება საკონსულო განყოფილებაში წარადგინოს **ცნობა სამუშაო ადგილიდან**, რომელიც ხელმოწერილია და ბეჭდით დამოწმებული სპეციალურ ბლანკზე, ამ ცნობაშივე მითითებული იქნება სამსახურის ტელეფონი, მისამართი, აპლიკანტის თანამდებობა და მისი თვიური შემოსავალი, იქვე მითითებული უნდა იყოს შვებულების ზუსტი თარიღები.

**კერძო მეწარმეებმა** უნდა წარმოადგინონ საწარმოს წესდების ასლი და რეგისტრაციის ცნობის ასლი, ასევე საგადასახადო ინსპექციიდან შემოსავლების დაბეგვრის ფურცელი.

**სტუდენტებმა** საჭიროა წარმოადგინონ სპეციალური ცნობა სასწავლებლიდან და სტუდბილეთის ასლი (სტუდბილეთის ორიგინალი შემოაქვთ ანკეტასთან ერთად), ასევე ჩათვლის წიგნაკი.

**არასწრულწლოვანებისთვის**, რომლებიც მიემგზავრებიან ერთ-ერთ მშობელთან ერთად ან ნათესავის ან ოჯახის მეგობარი პირის თანხლებით, აუცილებელია, რომ საკონსულო განყოფილებაში წარმოადგინონ ბავშვის დაბადების მოწმობის ორიგინალი (ბრუნდება უკან) და დამოწმებული ასლიც, ასევე მშობლების ქორწინების მოწმობა. ასევე აუცილებელია მშობლის წერილობითი თანხმობა-ნებართვა, მსგავსი ნებართვა თავად მშობელს შემოაქვს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვზე მეურვეობა აღებული აქვს თავის თავზე მხოლოდ ერთ მშობელს, საჭიროა სასამართლო განაჩენის დამოწმებული ასლის წარდგენა.

**პენსიონრებმა** უნდა წარმოადგინონ საკუთარი საპენსიო წიგნაკის ასლი.

**ვიზის საფასურია 60 ევრო .**

განმცხადებელს შეუძლია საკონსულო განყოფილებაში წარმოადგინოს სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელიც არ არის ჩამოთვლილი ზემოთ.

ამავდროულად საკონსულო განყოფილება იტოვებს უფლებას, მოსთხოვოს განმცხადებელს კიდევ დამატებითი საბუთები.